KA021716917158320

სახელმწიფო ქონების
ეროვნული სააგენტო

NATIONAL AGENCY
OF STATE PROPERTY

თბილისი 0179, ი.ჭავჭავაძის გამზ.49ა
ტელ:(+995 32)2 98 11 11
info@nasp.gov.ge

49a I.Chavchavadze avenue, 0179 Tbilisi,Georgia
Tel: (+995 32)2 98 11 11
info@nasp.gov.ge

13 / ოქტომბერი / 2020 წ.

N4/56038

შპს „ევროდრიპს“ (ს/ნ 400239675)
ქ. თბილისი, ნაძალადევის რაიონი, რატევანის ქუჩა №15
ელ. ფოსტა: d.kaplicha@gmail.com

როგორც თქვენთვის ცნობილია, სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსა და შპს „ევროდრიპს“ (ს/ნ 400239675) შორის „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შპს „ევროდრიპისათვის“ პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 30 ოქტომბრის № 2023 განკარგულების საფუძველზე 2018 წლის 02 ნოემბერს გაფორმდა ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის თანახმად კომპანიას საკუთრებაში გადაეცა ქალაქ თბილისში, ენუქიძის ქუჩის №12-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთი და მასზე მდებარე შენობა - ნაგებობები (საკადასტრო კოდი 01.19.22.006.057).

შეგახსენებთ, რომ ხელშეკრულების თანახმად კომპანიამ იკისრა რიგი ვალდებულებები, მათ შორის:

- 3.1.1 უზრუნველყოს ქონებაზე პლასტმასის ნაწარმის მწარმოებელი საწარმოს შექმნა და წარმოების დაწყება არაუგვიანეს 2020 წლის 30 ოქტომბრისა.
- 3.1.2 ხელშეკრულების 3.1.1. მუხლით გათვალისწინებული საპრივატიზებო პირობის შესრულების მიზნით, უზრუნველყოს 2 068 914 (ორი მილიონ სამოცდარვა ათას ცხრაას თოთხმეტი) ლარის ინვესტიციის განხორციელება შემდეგი გრაფიკის მიხედვით:
    - ა) ინვესტიციის არანაკლებ 25%-ისა - არაუგვიანეს 2019 წლის 30 ოქტომბრისა (შესრულება დადასტურებულია სააგენტოს 2020 წლის 21 იანვრის N4/3676 წერილით);
    - ბ) ინვესტიციის დარჩენილი ნაწილი - არაუგვიანეს 2020 წლის 30 ოქტომბრისა.

ამასთან შეგახსენებთ, რომ ხელშეკრულების 3.1.1 მუხლით და 3.1.2 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით დადგენილი ვალდებულებების შესრულების დადასტურების მიზნით, ხელშეკრულების 3.1.4 და 3.1.5 მუხლების თანახმად კომპანიამ იკისრა ვალდებულება არაუგვიანეს 2020 წლის 14 დეკემბრისა, გამყიდველს წარუდგინოს ხელშეკრულების 4.5 მუხლით გათვალისწინებული აუდიტორული დასკვნა.

გაცნობებთ, რომ ხელშეკრულების 4.5 მუხლისა და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დადასტურება განხორციელდება შესაბამისი აუდიტორული/ საექსპერტო დასკვნის საფუძველზე, რომელიც უნდა შეიცავდეს რწმუნებას შესაბამისი ვალდებულების შესრულების თაობაზე და გაცემული უნდა იყოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრული აუდიტორული ფირმის მიერ.

აქვე გაცნობებთ, რომ იმ ფირმების ჩამონათვალი რომლებსაც „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე მინიჭებული აქვთ შესაბამისი უფლებამოსილება, შეგიძლიათ იხილოთ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის ოფიციალურ ვებ-გვერდზე: www.saras.gov.ge. დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურს (მის: ქ. თბილისი, მერაბ ალექსიძის N1).

ამასთან შეგახსენებთ, რომ ზემოაღნიშნული ვალდებულებების შეუსრულებლობისა ან არაჯეროვანი შესრულების ან/და აუდიტორული დასკვნის, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში წარმოუდგენლობის შემთხვევაში, ხელშეკრულების მე-6 მუხლით გათვალისწინებულია შესაბამისი

პირგასამტეხლო.

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად



სახელშეკრულებო ვალდებულებათა
მონიტორინგის სამსახურის უფროსი

დიმიტრი შანიძე